ქედის მუნიციპალიტეტის მერია
ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

განყოფილების უფროსი: სოფიო ხაბაზი
ტელ: 599 85 12 21
ელ. ფოსტა: sofio.khabazi@gmail.com

დაუყოვნებლივ გასავრცელებლად

ა ნ ო ნ ს ი

„ქალთა საინფორმაციო რესურს ცენტრი“ - (ENUT)

წარმომადგენლების ვიზიტი ქედაში

28 მარტს, 13 საათზე, ქედის ადმინისტრაციული შენობის მცირე დარბაზში, ესტონელი ექსპერტები ქედის მუნიციპალიტეტში მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულ ქალებს, გენდერის და ქალთა უფლებების დაცვის კუთხით მომუშავე პირებს შეხვდებიან. სამუშაო შეხვედრა ასოციაცია „ერთმანეთისთვის“ მიერ განხორციელებული საერთაშორისო პროექტის „აჭარის რეგიონში ქალთა და ბავშვთა უფლებების დასაცავად“ ფარგლებში, ქედის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით გაიმართება.

შეხვედრის ფარგლებში, მოხდება გამოცდილების გაზიარება, ინფორმაციის გაცვლა და რეკომენდაციების მიცემა დაინტერესებული პირებისთვის. ხაზი გაესმება ამ პროცესში კომუნიკაციის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მნიშვნელობას. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და სოფლად მცირე ბიზნესის განვითარების წარმატებულ მაგალითებს.

ესტონელი ექსპერტები მსმენელებს გააცნობენ მოტივირებული ქალის მიერ საოჯახო ბიზნესად ქცეული მეურნეობის, ბიოწარმოების და სტუმარ-მასპინძლობის პირად წარმატებულ მაგალითებს.

ასოციაცია „ერთმანეთისთვის“ მიერ განხორციელებული საერთაშორისო პროექტის „აჭარის რეგიონში ქალთა და ბავშვთა უფლებების დასაცავად“ სამუშაო ვიზიტის სამოქმედო

გეგმის თანახმად ჩანიშნულია რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა, მათ შორის შეხვედრები ქედისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გაიმართება აგრეთვე მრგვალი მაგიდა, რომელშიც ჩაერთვებიან ქალთა უფლებების დაცვის კუთხით მომუშავე ორგანიზაციები, სამოქალაქო სექტორის და მედიის წარმომადგენლები. ვიზიტის ფარგლებში სტუმრები მოინახულებენ აჭარის ღირსშესანიშნაობებს და გაეცნობიან რეგიონის კულტურულ და ტურისტულ პოტენციალს.

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ასოციაცია „ერთმანეთისთვის“ 27-31 მარტს ქ. ბათუმში, საერთაშორისო პროექტის „აჭარის რეგიონში ქალთა და ბავშვთა უფლებების დასაცავად“ ფარგლებში, ქართულ-ესტონური მხარეების დაახლოების და გამოცდილების გაზიარების მიზნით, სამუშაო ვიზიტით მასპინძლობს ესტონეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო რესურს ცენტრის“(ENUT) წარმომადგენლებს, სამუშაო ვიზიტის სამოქმედო გეგმის თანახმად, ჩანიშნულია რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა, მათ შორის ქედაში.

სემინარს ქედაში 20 ქალბატონი დაესწრება. ასევე უცხოელი სტუმრები დაათვალიერებენ ქედის კულტურის ცენტრში, ქალბატონების მიერ ნამუშევარ ჰენდ მეიდებს (თექა, ნაქარგობები, ტიხარი და ა.შ.)

ქეისი: მოინახულებენ ყვავილების სასათბურე მეურნეობას და ასევე, მშენებარე ღვინის მარნის სოფელ გეგელიძეებში.

თამარ ბალაძე - 34 წლის, სოფელი გეგელიძეები. არის მარტოხელა დედა, ჰყავს 11 წლის შვილი. ქალაქიდან დაბრუნდა სოფლად და მცირე მეწარმეობას მიჰყო ხელი. სახელმწიფო პროგრამებით „აწარმოე საქართველოში" და „ემპარდის" ფარგლებში გახნა ყვავილების სასათბურე, ასევე აქვს ჟოლოს ბიზნესი. ბიზნესს ყოველწლიურად აფართოებს და ამჟამად აწყობს ღვინის მარანს. აქტიურად მონაწილეობს ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ აქტივობებში. არის სხვა ქალბატონებისთვის სამაგალითო, ბარიერების მიუხედავად, როგორ შეიძლება გახდე ქალი-ლიდერი.

დაგეგმილია ინფო-ტური ქედის ღვინის ქარხანაში, აგრეთვე კულტურული ძეგლების მონახულება და ადგილობრივი ფოლკლორის გაცნობა.